

"ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო სომხეთი" გაიხსნა ქალაქ გიუმრიში

28 ოქტომბერს გაიხსნა "ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო სომხეთი" ქალაქ გიუმრიში. ეს არის სამხრეთ კავკასიაში მეორე და ასოციაციის მიერ ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლებების კონგრესის მხარდაჭერით დაფუძნებული მეცამეტე სააგენტო.

სააგენტოს პარტიორების მიერ ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერით ამ მნიშვნელოვანმა ადგილობრივი დემოკრატიისა და მოქალაქეების მონაწილეობის ინსტრუმენტმა დაიწყო ფუნქციონირება.

სომხეთის ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს დიდი მოლოდინი რაც გულისხმობს სააგენტოს ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებაში წვლილის შეტანას. ეს იყო დემონსტრირებული გახსნის ცერემონიაზე მოსახლეობის დიდი ნაწილის მონაწილეობით ისევე როგორც სომხეთის მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ.

ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობების კონგრესი, ვიცე-პრეზიდენტის წანმომადგენლობით, არის დარწმუნებული რომ ამ ქვეყნის დემოკრატიის შემდგომი განვითარება ევროსაბჭოს ფუნქციის ნაწილია.

გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ ქალაქ გიუმრის მერი ვარდან ღუკასიანი, სომხეთის რეგიონალური მართვის მინისტრის პირველი მოადგილე ბატონი ვაჩე ტერტერიანი, თემთა ასოციაციის გაერთიანების პრეზიდენტი ბატონი ემინ იერიციანი, ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობების კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი ბატონი ფაბიო პელეგრინი.

სააგენტოების ასოციაციის პრეზიდენტი პერ ვინტერი და აღმასრულებელი დირექტორი ქალბატონი ანტონელა ვალმორბიდა ასევე ესწრებოდნენ გახსნის ცერემონიას. ვერონიკა მორეირა, რონ-ალპის რეგიონის ვიცე პრეზიდენტმა თავის ვიდუო მიმართვაში ყურადღება გაამახვილა საფრანგეთის რეგიონის სრულ ჩართულობაზე, რაც გამოიხატება სააგენტოს ლიდერ პარტნიორობაში.

გახსნის ცერემონიის შემდეგ ჩატარდა კონფერენცია ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის და სომხეთში ევროპული თანამშრომლობის შესახებ, რომლის მონაწილეები იყვნენ: სომხეთის "მდგრადი განვითარების ურბანული ფონდი"-ს წარმომადგენელი არმინე თუხიკიანი, რაფაელა ვივიანი, ფრიული ვენეცია ჯულიას რეგიონიდან, (იტალია), ჟურნალისტების კლუბის "ასპარეზი"-ს პრეზიდენტი ლევონ ბარსეგიანი, ქალბატონი ანტონელა ვალმორბიდა, ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი და ბატონი იოსებ ხახალეიშვილი აღს საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი

სომხეთის სააგენტოს პარტნიორები არიან: რონ-ალპის რეგიონი (საფრანგეთი), ფრიული ვენეცია ჯულიას რეგიონი (იტალია), ხალხთა განვითარების საერთაშორისო კომიტეტი (იტალია), სომხეთის თემთა კავშირის პრეზიდენტი, "მდგრადი განვითარების ურბანული ფონდი" (სომხეთი), ჟურნალისტების კლუბი "ასპარეზი" (სომხეთი), და მასპინძელი ქალაქის გიუმრისა და იჯევანის მუნიციპალიტეტები.

ფრიული ვენცია ჯულიას რეგიონის საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს წევრმა ელიო დე ანამ თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა: "ფრიული ვენცია ჯულიას რეგიონის სომხეთის ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს გახსნაში მონაწილეობის მიღება არის საერთაშორისო პოლიტიკის სტრატეგიული არჩევანის ნაწილი პრეზიდენტ რენცო ტონდოს მიერ შემუშავებული, რომელიც კავკასიის რეგიონში ხედავს ამ იტალიის რეგიონის ეკონომიკურ და სოციალურ ინტერესს. რეგიონის აქტივობები როგორც სომხეთის სააგენტოს პარტნიორი უნდა ისახავდეს მიზნად დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემას როგორც ეს ევროპულმა საბჭომ დააფუძნა."